



ნ ი ა ნ ბ ი

1
1951

გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 237
№ 237
4/11
1



ა. ბანძელაძისა და გ. ლომიძისა

დიდ ვახაჭიურში არის ჩავარდნილი ჯონ-ბული: ბრიტანეთის ლომი რამდენჯერაც არ დახატა, მაინც ლომს ვერ მიახსნავსა და იძულებული გახდა ერთ ძველ ეხადარებულ მხატვარივით ნახატს წააწეროს: ეს ლომია და არა ძაღლი!

Обязательный экзemplар



საოჯგომო მოგონება

ჩვენ გვახსოვს ცხრაას ჩვიდმეტი წელი
და სიჭაბუკე ჩვენი გამირული,
როცა გვებრძოდა ქვეყანა ძველი,
მძიმედ დაჭრილი და განწირული.

მაშინ, ამ ხროვის, ამ ყაჩაღების
სულისჩამდგმელი იყო ჩერჩილი,
მძვინვარე ცეცხლის კვდავ გაჩაღებით
ომს გაჰყვიროდა ხმაჩახლეჩილი.

მას მუდამ სძულდა ქვეყანა ჩვენი
და მტრობა ჰქონდა შრომის ბანაკთან,
ჩვენ დავვაყვაცდით ხადისით, ღხენით,
ის კი დაბერდა, დაჩაჩანაკდა.

ის ახლაც გვიღრენს შხამგესლით სავსე,
ჩვენს მიმართ მუდამ ავისმომქმედი,—
და, როგორც რისხვა, ასკდება თავზე,
ოქტომბრის გრგვინვა ოცდაათოთხმეტი.

ა-ი-ლ შიჩხუაძე



ვერა დღე იყო. ახალგაზრდებს კლუბის წინ, კაკლის ხის ქვეშ წრე შეეკრათ. წრის შუაგულში ვალიკო და მირიანი ჩამომსხდარიყვნენ, ფანდურებზე შაირებს ამღერებდნენ და მოსწრებული პასუხებით მსმენელებს ახარხარებდნენ. ის-ის იყო მირიანი უკანასკნელ შაირზე შეპასუხებას აპირებდა, რომ წრე გაირღვა და შიგ ნათელა შემოვარდა.

— იცით, გოგოებო, — ხმამალა მიმართა თავის ტოლებს ნათელამ, — შალვა ვაშაძეს ისეთი სტუმარი ჩამოუვიდა, ისეთი სტუმარი, რომ...

— მაინც როგორი, ისეთი?.. — გამოაჯავრა მირიანმა, რომელსაც პირზე შერჩა საპასუხო შაირის პირველი სიტყვა.

— ისეთი ლამაზი ვაჟი, ისეთი მხარბუჭიანი, ისეთი მალაღობრივი, რომ შენნაირს ორს შეკრავს, — დაცინვით უპასუხა ნათელამ. — აი, მალე შენი თვალთ ნახავ. აქეთ მოდიოდნენ, სადაცაა აქ გაჩნდებიან.

„ეხ, როგორ მამბრახებს! მაგრამ რა ვქნა, მიყვარს, მიყვარს, სულს მირჩევნია!“

ორი წელია ფარვანასავით თავს დატრიალებს მირიანი ნათელას. ის კი, არც „არას“ ეუბნება, არც „ჰოს“. ხან ძალზე ტკბილად ექცევა, ხან უმიზეზოდ გაებუტება, არც სხვა ვაჟს იკარებს და ასე იმედიან მოლოდინში ჩამოახმო მოწინავე ბრიგადირი.

გოგონები ვაჟებს გამოეყვნენ. წრე ახლა ნათელას შემოარტყეს და კითხვებით სული ამოხადეს. ნათელასაც ეს უნდოდა, ლაპარაკი, იცოცხლეთ, ემარჯვებოდა.

ცოტა ხნის შემდეგ ვახე ორი ახალგაზრდა გამოჩნდა.

— აი, ისიც, ჩვენი სტუმარი! — დაიძახა ნათელამ.

შალვა და მისი სტუმარი ნელი ნაბიჯით მიუახლოვდნენ შეკრებილებს. შალვამ ტოლ-მეგობრებს გააცნო ვახტანგი. ნათელამ იმდენი იტრიალა, იმდენი იტრიალა, რომ ვ. ხტანგის ჯვრდით მოხვდა...

სტუმარს თავი უბრალოდ ეჭირა. ყველას უცბად დაუამხანავდა, ყველასთან საერთო ენა მონახა. ვაჟებს ქალაქური პაპიროსები ჩამოურთივია, გოგონებს — გაეხუმრა, თვითონაც იცინა, ისინიც აცინა.

მირიანი არც ამდგარა, არც მოწოდებული პაპიროსი აუღია. თუთუნის გაახვია და თამბაქოს ბოლივით აეშალა ფიქრები. თვალნათლივ ხედავდა, რაც მან ნათელასთან ორი წლის განმავლობაში ვერ შეძლო, ის ამ გადამთიელმა ერთ წუთში მოახერხა და გოგონას გული მოინადირა.

კარგად დააცქერდა ვახტანგის სახეს. სადღაც უნახავს ეს კაცი, სადღაც შეხვედრია!.. მაგრამ სად?.. სად? ვერაფრით გაიხსენა.

აბა, შემოდგომაზე სოფელს სტუმარს რა გამოუღვეს! მით უფრო, როდესაც ირგვლივ რთველია გაჩაღებული. მაგრამ ვახტანგი სტუმარს არ ჰგავდა. შალვასთან ერთად ყველაზე ადრე გამოვიდა ყურძნის საკრეფად. ნათელაც, რა თქმა უნდა, ცდილობდა მუდამ მის გვერდით ყოფილიყო... ყურძნის კრეფამ იმდენად დაახლოვა ისინი, რომ ერთმანეთს ხმაც შეუწყვეს და ჩინებული სიმღერით გაატარეს მთელი დღე. ვახტანგი სოფელში თითქოს სტუმრად ჩამოსული კი არა, აქ გაზრდილი და დაბადებული ყოფილიყოს, შინაური კაცი გახდა. მაგრამ მისი მხოლოდ სახელი იცოდნენ, ვინაობის შეტყობა ვერც კი მოასწრეს — ისე შეეთვისენ ამ შესანიშნავ ვაჟკაცს. თავისი გვარის და პროფესიის გამოაშკარავებას არც თვით ვახტანგი ჩქარობდა. ნათელამ მრავალჯერ სცადა, ერთხელ შალვას დედასაც კი შეეკითხა, მაგრამ რატომღაც იმისგანაც ასეთი პასუხი მიიღო: „ჩემი დისწულია. თხუთმეტი წელია არ მინახავს, მოვენატრე და მესტუმრა... გვარი კი... ხომ ხედავ, კაცის შვილია, კარგი კაცის შვილია... ვერც ის გაიგო ნათელამ ვახტანგი ცოლიანი იყო თუ უცოლო, და რადგან სურდა უცოლო ყოფილიყო, ასედაც ჩათვალა.

რაც შეეხება მირიანს, იგი მუშაობით იქარვებდა თავის დარღს. დღეში სამი კაცის ნორმას ასრულებდა. თან შორი-

დან ეჭვით უთვალთვალბდა ვახტანგს. ასე ფიქრობდა: „თუ კარგი კაცია, თავის გვარს რად მალავსო“. მაგრამ რამდენადაც მეტს უთვალთვალბდა, იმდენად მეტ წინააღმდეგობაში ვარდებოდა.

ვახტანგის ჩამოსვლის მესამე დღეს სოფლის პატარა ჰიდროელექტროსადგური მოულოდნელად დადგა, რაღაც გაუფუჭდა და რაიონის ცენტრიდან მექანიკოსის მოსვლამდე ვახტანგმა ის ერთ საათში აამოქმედა: „ნამდვილად ელექტრომექანიკოსიაო“ — დასკვნა მირიანმა, მაგრამ იმავე დღეს ვახტანგმა პირველი დახმარება აღმოუჩინა სახერხი მანქანისაგან დაშავებულ კოლმეურნეს და ჭრილობა ისე შეუხვია, უბნის ექიმსაც შეშურდებოდა მისი ნახელავი.

— „არ დავიღუპო, ექიმო არ გამოდგეს!“ — გაიფიქრა მირიანმა, რადგან იცოდა, თუ როგორ უყვარდა ნათელას ექიმები და თვითონაც სამედიცინო ინსტიტუტში შესვლაზე ოცნებობდა.

მეოთხე დღეს ვახტანგმა ისეთი საუბარი ჩაატარა ახალგაზრდებთან საერთაშორისო მდგომარეობაზე, გეგონებოდათ ლექციის კითხულობდა. იგი ყველას ლექტორი ეგონა. მაგრამ იმ საღამოსვე შეეცვალათ აზრი. ლექციის შემდეგ ვახტანგმა ისე კარგად იმღერა და ნათელასთან ერთად ისეთი ციკვა გააჩაღა, არავის ეჭვი არ შეპარვია, რომ იგი აუცილებლად მსახიობი უნდა ყოფილიყო.

მირიანი შესცქეროდა ვახტანგს და გულში ფიქრობდა: სადღაც უნახავს ეს სახე, სადღაც შეხვედრია, მაგრამ სად?.. სად?..

დასრულდა რთველი. ოქტომბრის სადღესასწაულო დღეები დადგა. ვახტანგი უკვე წასასვლელად გაემზადა, მაგრამ საერთო თხოვნით, გადასწყვიტა დიდი ოქტომბერი ამ პატარა სოფელში ეზეიმო.

სწორედ ამ საზეიმო საღამომ გამოარკვია ყველა საკითხი. ნათელი გახდა, თუ რად მალავდა თავის ვინაობას ვახტანგი.

ექვით სავსე მირიანი ის იყო სახეანთებული შემოიჭრა კლუბში, რომ თავმჯდომარემ სიტყვა მისცა ვახტანგს და ყველასთვის მოულოდნელად მისი გვარი გამოაცხადა...

ტაშმა იგრიალა. ვახტანგის ვინაობა ახლა მირიანმაც კარგად იცოდა, მას ხელში ეჭირა კედლიდან ჩამონახევი ვახტანგი სურათით, რომელსაც საბჭოთა კავშირის გმირის ვახტანგ ბერიძის სახელი და გვარი ჰქონდა მოწერილი. აი, თურმე საიდან ახსოვდა მირიანს ვახტანგის სახე. უსაფუძვლო ეჭვით გულდახშულს რამდენი დამე უძილოდ გაუთენებია თავის ტახტზე წამოწოლილს, და მხოლოდ ახლა მოხვდა თვალს კედელზე შპალერად გაკრულ ვახტანგის ეს გვერდი, საიდანაც ვახტანგი ღიმილით დასცქეროდა მის ეჭვიანობას და თანაც თავის სახელს და გვარს გულწრფელად უმხელდა.

მირიანს სურდა პირველი აღმომჩენი ყოფილიყო, მაგრამ თავმჯდომარემ დაასწრო, რადგან ვახტანგმა უკვე საჭიროდ აღარ დაინახა თავისი ვინაობა დაეფარა ამ ბოლო დღეს, — აკი შესძლო უბრალოდ, თავისუფლად და მალედიან დაუხედავად დაახლოვებოდა ამ პატარა სოფლის საყვარელ ადამიანებს...

ვახტანგ ბერიძე გულწრფელად მიესალმა სოფლის მოწინავე ეშუაკებს. ილაპარაკა სოფლის წინსვლაზე, მის მოწინავე ადამიანებზე და გმირულ შრომას ქება-დიდება მიუძღვნა. განსაკუთრებით შეეხო იგი მირიანის გამრჯე მარჯვენას... მირიანმა უხერხულობისაგან თავი დახარა. მხარზე ვილაცის მსუბუქი ხელი იგრძნო. მობრუნდა და ნათელას სიხარულით აღსავსე თვალებს წააწყდა. გოგონა სიყვარულით უღიმოდა მოწინავე ბრიგადირს.

გივი ზოგიჩაიყვილი

სკოლა-სადაბრეზა



ამ ქოჩორას ვინ არ იცნობს:
ფოტოკურსპონდენტია—
მთა და ბარი მოიარა
და მუხლიც არ მოთენთია...

თვალს გაასწერ, შუნთან არის,
თითქოს შორით განაწობდა,
უშმაკივით ჩაცუქტულა
ცად ამართულ ხარაწოსთან!

პირს ვააღებ, ტრინუნის წინ
არ იქნება ის არ იყოს—
ორატორის სიტყვა უნდა
წარმოთქმამდე გადაილოს!


მარულზე ცხენებს დასდეს,
გაუშვია მხრები ფრთებიც,
ფეხბურთზე კი—ფეხბურთელებს
შიგ ბადელი უსაფრებმა!

თუ ახალი არხი გასჭრეს,
არ იქნება მან არ ნახოს,
ცხრის ღვარაზე აგრე ეძებს
მთაში ახად საბადოსს.

საზემო დღეს არ აცდენს,
მამინ არის მისი ღენა:
მისი ხელის მარჯვითი,
მისი ფოტოგადარბენა!

თავს ევლება ახად სახლებს,
ხარობს მათი გამარჯვებით,
ძვიდი სახლის ნაბრეკვით
გაურბიან ყავარუნებით...

მშენებლობას თვალს რომ მოჰკრავს—
უკვე გადაღებულა!
სახურაზე დაუშვება
ციდან, როგორც ქებურია!



ერთგულია და რუსთავის
სიყვარული აქვს უდავოდ,—
არასოდეს მზიან დილას
არ გააცდენს ურუსთავივოდ!

რთველიც უყვარს! თვადი შორით
როცა დაგვიღვევებია,—
იგი მუდამ იქ გვიწინაავს,
სადაც ყურნის შტევენებია.

ჩაი რომ არ მოითხოვოს,
ისცივი დღე არ იქნება,
თუმც არ იცილთ ჩაი უყვარს,
თუ ხელმარტი ჩაის კრეფა?!

ქუთაისსაც მოუვლინა,
დრო არ ჰქონდა დახანების
და ზეციდან გადაილო
რამში ავტომანქანების!

თბილისის ზღვას, რა თქმა უნდა,
ყველაფერი ანაცვიდა,
მოსუიღრნ ნავში ქაღ ვაქს
ამღერებაც არ აცადა...



ასეთია საოტკომბროც
მისი ფოტოგადარბენა,
მორჩა საქმეს და ანყო
საჭიკვიკოვ ტუბიდი ენა!

ყვეავებულ სამშობლოში
რა არ ნახა, სად არ იყო,—
ყველაფერი ჩაიწერა,
ყველაფერი გადაილო!

მღერით ისე მოიჩქარის,
ოფლიც კი არ მოწმენდია,
ამ ქოჩორას ვინ არ იცნობს—
ფოტოკურსპონდენტია!

მომოთარ მობინაშული



ნახ. ღონისა

ამას წინათ თეირანის კინოთეატრებმა საჩვენებლად მიიღეს ჰოლივუდის კინოპროდუკცია „ფოლადის მუზარადი“. ეს ფილმი ეხება კორეის ომს. საზიზლარი ცილისწამებაა კორეელი ხაღხის მიმართ და ქება-დიდებას ასხამს ამერიკელ აგრესორებს.

თეირანის მცხოვრებლები იმდენად აღაშფოთა ჰოლივუდელთა პროდუკციულმა ხაღხურამ, რომ მტკიცე პროტესტის შედეგად აიძულეს კინოთეატრების მეპატრონეები მეორე სეანსის ჩვენების შემდეგ შეეწყვიტათ ფილმის დემონსტრაცია.

თეირანელთა აღშფოთება იმდენად დიდი იყო, რომ როცა ამერიკის წარმომადგენლებმა ერთი კვირის შემდეგ კვლავ მოახერხეს ისევ ჩვენებინათ ფილმი, კინოთეატრ „ედურსთან“ მიიჭრა ხაღხი და ჩამატვრია ფანჯრები, სადაც გამოფენილი იყო „ფოლადის მუზარადის“ გადიდებული კადრები.

ასეთ კადრებს სწორედ ასე ეკადრებოდა!

გამორჩენილი მღვდლის კოლა

ამერიკული ჟურნალი „იუნაიტედ სტეიტს ნიუს ენდ უორლდ რიპორტი“, ეხება რა გამადებულ შეიარაღებას ამერიკაში, წერს: „ფირმა, რომელიც ჩვეულებრივ საკანცელარიო მანქანებს ამზადებდა, ამჟამად უშვებს სამიზნოებს ყუმბარამტყორცებისათვის, ვედოსიპედების ქარხანა აწოდებს შემკვეთს ამფეტაბლებს სელსაწყობებს, საბავშვო სათამაშო ავტომატების წარმოებაში ხელი მოკიდა ჰილზებისა და თვითმფრინავის ნაწილების გამოშვებას... და სხვა.“

აღნიშნული ჟურნალი ამ მოვლენას ტრაბახით აღნიშნავს და, კორეის ავანტიურაში ჩაფლულ ამერიკელ აგრესორთა შემხედვარე, ერთ სიტყვასაც არ ამბობს იმის შესახებ, თუ სამეცნიერების რამდენი წარმოება გადავიდა კუბოების გამოშვებაზე, ან სათამაშო დედოფლების რამდენმა სახელსწრის მოკიდა ხელი ადამიანის ხელგზნური ხელ-ფეხის დამზადებას.

ბრაზილიური „გამოცანა“

როგორც უცხოეთის გაზეთები იტყობინებიან, ამერიკული ფირმები „სვიფტი“ და „არმარი და ვიდსონი“ თურმე დიდ მოგებას ნახულობენ ამერიკელ ინტერვენტებისათვის საქონლის ხორცის მიწოდების საქმეში. გაზეთი „იმპრენსა პოპულარი“ იტყობინება, რომ აღნიშნული ფირმები დაკავშირებულნი არიან ბრაზილიის მსხვილ მესაქონლე კაპიტალისტებთან, საქონლის ხორცი ვამოაქვთ პორტ ხაიფუში და იქიდან გზავნიან კორეაში. აღსანიშნავია ისიც, რომ ბრაზილიის ახლანდელი პრეზიდენტი ვარგასი მსხვილი მესაქონლე კაპიტალისტი.

აღრუხე მჭდარა ვარგასის კოჭი! იგი პირველად საზარბაზნე ხორცს ამზადებს, რომ საქონლის ხორცის მაზანდამ აიწიოს. შემდეგ საქონლის ხორცს ჰყიდის, რომ იმ ხორციით საზარბაზნე ხორცი გამოჰკვებონ. ნამდვიდ გამოცანას ჰგავს—ხორცი ხორცს ჭამს და ვარგასი ფულს იჭიბავს.

ამის შემდეგ განა გასაკვირია, რომ ბრაზილიელი პატრონობები ვარგასის მაგიერ ვარგასის ხელმძღვანელისათვის იბრძვიან?



— პოლკოვნიკო, თქვენ თუთრგვარდიელი იყავით?
— ო, რას ბრძანებთ?! მე შავრაზმელი გახლდით. ნუთუ ერთმანეთში ველარ არჩევთ შავსა და თეთრს!
— ფერი მარტო მე როდი მეშლება—ტრუმენის რეზიდენციას თუთრ სახლს ეძახიან, მაგრამ ისეთივე თუთრია ის სახლი, როგორც თქვენი შავრაზმელობა...

შინაური მღვდლის უნდობა

ამას წინათ ჰარი ტრუმენმა რომის პაპთან თავის წარმომადგენლად დანიშნა ამერიკის სახმელეთო ძალების უფროსი გენერალი კლარკი. თუ გავისხენებთ როგორი ღვთისმოსავი მსტოვრები გამოდგნენ დემოკრატიული ქვეყნების საჯარო სასამართლო პროცესებზე გამოაშკარავებული ეკლესიის მსახურნი, ადვილი გასაგები გახდება ტრუმენის მოციქულის, გაქნილი მზვერავის კლარკის ვატიკანში წარმომადგენლად დანიშვნის მიზეზი.

მაგრამ ეს ამბავი არ ესიაშოვნათ ამერიკელ სასულიერო პირებს, პროტესტანტული ეკლესიის წარმომადგენლებს და ტრუმენს წინ აღუდგნენ. მათი პროტესტი, რასაკვირველია, არაოფიციალურად იმას ნიშნავდა, რომ ამერიკელი მღვდლები არავისზე ნაკლები არ იყვნენ.

როგორც ჟურნალი „ნოვოე ვრეშია“ იტყობინება, ამერიკელმა ღვთისმოსავეებმა მიზანს მიაღწიეს და თეთრი სახლის მდივანმა ბეჭდვითი სიტყვის საკითხში შორტმა გამოაცხადა, რომ კლარკის ვატიკანში დანიშვნის საკითხი „გადადებულია“.

ამის შემდეგ ამერიკაში, ალბათ, აღარ იტყვიან—შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო.

სპორტის და ხელოვნების სპეკულაციები

„ბუგი-ვუგი“

„ბუგი-ვუგი“ თანამედროვე ამერიკელ და დასავლეთ ევროპულ უსაქმურთა ახალი თაყვანსაცემი მოდაა. ყველგან—




რესტორანში, კაფეში, საცეკვაო მოედნებზე და კერძო სახლებში შეგიძლიათ წააწყდეთ ბარბაროსული მუსიკის აკომ-

პანიშენით მოცეკვავე ქალ-ვაჟს, დაახლოებით ისეთ მდგომარეობაში, როგორც ეს ამ ფოტოსურათებზეა გამოსახული.

„ბუგი-ვუგის“ წარმოშობის ისტორია ასეთია: ერთი ვინმე რკინიგზელის უსაქმური შვილი შეპარულა საბარგო მატარებლის ერთ-ერთ ვაგონში, სადაც რომელიღაც ამერიკული ფირმის როიალები ელაგა. ახირებულმა „მუსიკის მოყვარულმა“ ახალგაზრდამ ახსნა ერთი როიალის სახურავი და მატარებლის ბორბლების რიტმს ააყოლა დაკვრა. გამოვიდა ყურისმომჭრელი მუსიკალური ბაგაბუგი, რომელსაც შემდეგში სათანადო სახელიც მოუნახეს— „ბუგი-ვუგი“.

გულმოდგინე ამერიკელები შეეცადნენ ეს ცეკვა დასავლეთ ევროპაში გადმოენერგათ, და, აი, დასავლეთ გერმანული ჟურნალი „ტაგესშპიგელი“ დღეს რეკლამას უკეთებს მას. იგი მოუწოდებს გერმანულ ახალგაზრდებს იცეკვონ „ბუგი-ვუგი“, რომელიც „სიჭაბუკისა და ხალისის“ განსახიერებაა.

ჩვენ არ ვიცით, რას გულისხმობს „სიჭაბუკისა და ხალისის“ განსახიერების ქვეშ დასავლეთ გერმანული ჟურნალი,



მაგრამ თუ ამ სარეკლამო ფოტოსურათების მიხედვით ვიმსჯელებთ, — ის ჭკუაზე შეშლილების აკრობატიკაა!

ყველაზე იდიოტური სპორტი მსოფლიოში

ეს ფოტოსურათი გამოაქვეყნა ამერიკულმა ჟურნალმა „ზის უიკმა“.

მკითხველს ნუ ეგონება, თითქოს მის წინ საგიჟეთის მცხოვრებთა პორტრეტებია! არა. ეს რამდენიმე დაძაბული მომენტი იმ ახალი თამაშისა, რომელიც ინგლისელებმა გამოიგონეს და რომელსაც „შეუბერე-კვერცხი“ ეწოდება.

ამ თამაშის წესი ასეთია: 16 მამაკაცი (მაგარი ფილტვების და ამასთან ერთად სუსტი გონების პატრონი), გარს

ერთკმის ბილიარდის მაგიდას. ისინი ცდილობენ გამოფულუროებული კვერცხი „სულის შებერვით“ მოათავსონ მინიატურულ ფეხბურთის ბაღეში.

თვით ამერიკული ჟურნალი, რომელმაც ეს ფოტოსურათი გამოაქვეყნა, იძულებული იყო ეღიარებინა, რომ ეს თამაში ყველაზე იდიოტური სპორტია მსოფლიოში.

ინგლისელმა „სპორტსმენებმა“ თავგამოდებულად უარყვეს, რომ ეს თამაში „ყველაზე იდიოტურია“. ამის დასამ-

ტკიცებლად მათ მიუთითეს თავის ამერიკელ მოძმეებს „სპორტის“ ისეთ სახეებზე, როგორც, მაგალითად, შეჯიბრება—ვინ უფრო შორს გადააფურთხებს, ვინ უფრო მალე შეჭამს ხელდაუხმარებელი ერთ თეფშ მკარონს და სხვა.

მართლაც და ინგლისელთა „არგუმენტები“ მეტისმეტად ძლიერია. მოდი და გაარჩიე რომელი მათგანია ყველაზე იდიოტური სპორტი მსოფლიოში?

მელ-რუა

EGG-SHELL GAME

THE windy pastime shown here is a new British game known as "Blow Egg." All you need for the world's zaniest sport are a billiard table, 16 long-winded adults and an empty egg shell. Then let 'em blow!

TRANSATLANTIC PHOTOS

KICKOFF. Teams are set to blow

PUFFING toward a scoring thrust

BLAST: He'll explode in a minute

GOALIE gustily averts a score

HALFTIME. Teams wet whistles

JUST a little bit closer, please

რედაქტორი კ ა რ ლ ო კ ა ლ ა ძ ე. სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, აკ. ბელიაშვილი, ი. გრიშაშვილი, უჩა ჯაფარიძე, ი. ნონეშვილი, ს. ფაშალიშვილი.

Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Ниванги“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 42. ტელ. 3-10-49.

ბელმოწ. დასაბ. 1951 წ. 15/XI. სტამბა „ზარია ვოსტოკა“, რუსთაველის პროსპ. № 42. შვ. № 2719. გავიც. № 20. ტირ. 15.000. უფ05273



ტრუმენი და ჩეჩილი ერთხმად: — ეს ხომ ოქტომბრის ქარიშხალია, — ჩვენი დაწყობილი საქმეები ლამის დედამიწის პირიდან აღვავოს!.. მაგათ კი რომ ჰკითხო, ეს მხოლოდ დიდი ოქტომბრის საზეიმო დილაა და მათი დროშები სამშვიდობოდ ფრიალებენ!